საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6195
18/10/2022

6195-21-2-202210181631

შპს „პეტროლჰაბს“
მის: ქ. თბილისი, ნ. რამიშვილის N33, ბინა N25
ელ. ფოსტა: dato.ksani@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 4 ოქტომბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N5354 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიაში ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის სიახლოვეს არსებული სარწყავი არხიდან გათვალისწინებულია მხოლოდ სახანძრო (500 $მ^3$/წელ) და საყოფაცხოვრებო (5 $მ^3$ მოცულობის ავზის შესავსებად) დანიშნულებით (თავები: 4.3.2.6; 4.4.2.7.1) წყალაღება. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია რეზერვუარების, ტექნოლოგიური მოედნის მორეცხვისა და გამწვანების ზოლისთვის წლის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობები (საერთო წლიური ხარჯი 339.5 $მ^3$). ვინაიდან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სარწყავი არხიდან დაგეგმილია მხოლოდ სახანძრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგება, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო (რეზერვუარების და ტექნოლოგიური მოედნის მორეცხვა; გამწვანების ზოლის მორწყვა) მიზნებისთვის წყალმომარაგების საკითხი. ასევე, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სარწყავი არხიდან წყლის აღების შესახებ აღნიშნული არხის მფლობელთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, „საჭიროების შემთხვევაში არსებული ხეები, შესაბამისი ორგანოებიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ, უნდა მოიჭრას.“ ამასთან, ხე-მცენარეების აღრიცხვის უწყისის თანახმად, ტერიტორიაზე წარმოდგენილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობა - კაკალი, თუმცა მის ჭრასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის მოცემული. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს

ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან ამოსაღები ხე-მცენარეების (რაოდენობის მითითებით), მათ შორის კაკლის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშის ქვეთავში 4.4.2.9. („ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები“) მოცემული ინფორმაციის თანახმად, სახანძრო სატუმბ სადგურში განლაგებულია ორი ტუმბო, წარმადობით 150 $მ^3$/სთ, H=50 მ. ელ. ძრავით 45 კვტ, ხოლო თავში 6.2. („ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა“) აღნიშნულია, რომ სახანძრო სატუმბო სადგურში განლაგებულია ორი ტუმბო წარმადობით 150 $მ^3$/სთ, H=48 მ. ელ. ძრავით 55 კვტ. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სახანძრო სატუმბო სადგურში განსათავსებელი ტუმბოების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი, N49 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია, სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყაროების ან/და იდენტიფიცირებული წყარო(ები)დან სუნის გავრცელების შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- ქვეთავში 7.12 აღნიშნულია, რომ „საწარმოს **რეკონსტრუქციისა** და ოპერირებასთან დაკავშირებული გარემოზე მაღალი ან საშუალო დონის ნარჩენი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.“ ამასთან, გზშ-ის სარჩევის ქვეთავი 8.2 და 8.2.1 დაგეგმილი საქმიანობა განხილულია როგორც საწარმოს **რეკონსტრუქცია**. აღნიშნული არ შეესაბამება დოკუმენტის სხვა თავებში წარმოდგენილ ინფორმაციას და დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- გზშ-ის ანგარიშის 106-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „1922 წლის მაისის თვეში, ინდივიდუალური მეწარმე „ზ. დევდარიანი“-ს მიერ, შპს „პეტროლჰაბი“-ს დაკვეთით საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები“, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის დანართში 13.5. („ნარჩენების მართვის გეგმა“, გვ. 309) მოცემული ინფორმაცია - „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის #10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ 006-2016) მიხედვით **შპს „ლუკოილ ჯორჯიას“** ეკონომიკური საქმიანობის სახეებია: 46.71.4 - საბითუმო ვაჭრობა ბენზინით; 46.71.5 - საბითუმო ვაჭრობა დიზელის სათბობით.“ საჭიროებს დაზუსტებას და კორექტირებას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო